საპოლიტიკო სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატებიანი გაზეთი გამოდის ყოველ კვირა დღეს.

№ 3 იანვარი 16 1900 წ. № 3

შინაარსი: † გიორგი წერეთელი. (ბიოგრაფია).—გიორგი წერეთელი ნ. ჟორდანიასი.—სამგლოვიარო დეპეშები.—სასიქადულო გიორგი წერეთელს (ლექსი) გ. ბოკერიასი.—გიორგი წერეთელი, როგორც ბელეტრისტი ივ. გომართლისა.—გიორგი წერეთელი როგორც ისტორიკოსი და არქეოლოგი ფ. მახარაძისა.—გიორგი წერეთლის ნაწერთა სია.

ანასტასია მიხეიდის ასული თუმანიშვილი-წერეთლისა, ელენე, ლევან და ირაკლი წერეთლები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველი საყვარელი მეუღლისას და მეორენი ძვირფასის მამისას

გიორგი ექ. წერეთლისას.

მიცვალებულის გვამი განსვენებულ იქმნება დღეს კვირას, 16 იანვარს, დილის 10 საათზე, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში, ხოლო დაკრძალულ დიდუბის ეკლესიის გალავანში.

„კვალის“ რედაქცია აუწყებს თავისს თანამშრომელთა და მკითხველთ გარდაცვალებას

გიორგი ექ. წერეთლისას.

გარდაცვალებულის გვამი გასვენებულ იქნება დღეს კვირას, 16 იანვარს, დილის 10 საათზე, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში, ხოლო დაკრძალულ დიდუბის ეკლესიის გალავანში.

დრამატიული საზოგადოება.

გიორგი წერეთლის

გარდაცვალების გამო, 16 ამ თვეს ქართულ თეატრში დანიშნული წარმოდგენა **გადაიდვა.**

გიორგი წერეთელი.

† გიორგი წერეთელი

ამ თვის 12 ნაშუადღევის 4 საათსა და 15 წამზე გარდაიცვალა გიორგი წერეთელი. ეს უკანასკნელი რვა თვეა, რაც ავათმყოფობდა ჯაჭვების ანთებით. განსვენებუ-

ლი დაიბადა 1942 წელს სოფელს გორისაში, ზემო იმერეთს, შორაპნის მაზრაში. მამა მისი ექვთიმე, მაშინდელ სოფლის თავად-აზნაურობაში გონება გახსნილი კაცი იყო. ის იყო მეტად ღვთის მოყვარე, გულ კეთილი და ცდილობდა, შეძლებისა და გვარათ, ყველასათვის სარგებლობა მოეტანა. სწავლის მნიშვნელობა მას კარგათ ესმოდა და ამიტომ მეცადინეობდა, რომ განათლების გზაზე გამოეყვანა როგორც თავისი მონათესავენი, ისე სხვებიც. იმერეთში დღესაც ბევრია ისეთი პირი, რომლების პირველი მასწავლებელი ექვთიმე წერეთელი ყოფილა. ხოლო აღზრდის საქმეში ექვთიმეს სასტიკი მოპყრობა რწმედა ძველებური ანდაზის მიხედვით: შვილი მტრულათ გაზარდე მოყვრათ გამოგადგებაო. გიორგის დედა არ ახსოვდა, რადგანაც ადრე გარდაეცვალა. პატარა გიორგის ჯერ მამა ასწავლიდა, შემდეგ ის ქუთაისის გიმნაზიაში მიაბარა. კურსის დასრულების შემდეგ გიორგი გაემგზავრა პეტერბურღის უნივერსიტეტში 1860 წ. რადგანაც მესამოცე წლებში ახალთაობაში ძალიან გავრცელებული იყო ბუნების მეტყველება, ამიტომ გიორგიც გაიტაცა ამ სიყვარულმა და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტი აირჩია. უნივერსიტეტში გიორგი ცალკე მეცნიერებას ეწაფებოდა, ამავე დროს შორიდანვე გაფაციცებით ადევნებდა ჩვენ ცხოვრებას თვალყურს; მომავალი მოღვაწის ძარღვი და ნიჭი მაშინვე ეტყობოდა. უნივერსიტეტში ის განსაკუთრებული ყურადღებით ემბრიოლოგიას სწავლობდა; მეორე კურსზედვე საკუთარი თეორია შეიმუშავა შთანასახის განვითარების შესახებ და ოცნებობდა, მეცნიერებისათვის შეეწირა სრულიად თავი, მაგრამ მისი მუდამ მოძრავი, მგრძნობიარე ბუნება, რომ კაბინეტური შრომით ვერ დაკმაყოფილდებოდა, ეს მალე გამოაშკარავდა. 1861 წელს სტუდენტობის არეულობა მოხდა; ამ მოძრაობაში გიორგიმ მიიღო მონაწილეობა, რის გამო დაიჭირეს, ორი კვირე პეტრეპავლოვის ციხეში დაამწყვდიეს და იქიდან გამოშვების შემდეგ უნივერსიტეტში შესვლა აღუკრძალეს. სალიტერატურო ასპარეზზე გიორგი სტუდენტობის დროსვე გამოვიდა: 1862 წელს ერთი თერგდალეულის სახელით „ცისკარში“ დაბეჭდა პოლემიკური შინაარსის წერილი, 63-ს კი ილია ჭავჭავაძის ახალ ჟურნალ „საქართველოს მოამბეში“ დაიბეჭდა მისი „ცისკარს რა აკაკანებს“ გ—თელის ფსევდონიმით. 63 წლის გასულს გიორგი დაბრუნდა სოფელში, 64 წელს თფილისში ჩამოვიდა და ნ. ჯაბადარის პანსიონში ქართული ენის მასწავლებლათ შევიდა. 65 წელს თფილისში გაიმართა სტეფანე მელიქიშვილისა და ამხანაგობის სტამბა, რომლის მოთავეთ იყვნენ ნიკ. ღოღობერიძე, ვახტ. თულაშვილი დ. განსვენებული მეისტორიე დიმ. ბაქრაძე. მათ განიზრახეს გაზეთის გამოცემა და ამიტომ მოიწვიეს გიორგი რედაქტორათ. გამომცემლათ კი სტ. მელიქიშვილი. დიდ მეცადინეობას შემდეგ მიიღეს ნებართვა და 1866 წელს მარტში გამოვიდა პირველი გაზეთი „დროება“. ამ დროიდან იწყება გიორგის მუდმივი შრომა სალიტერატურო ასპარეზზე.

პირველ წლებში გაზეთს ცოტა ჰყავდა ხელის მომწერი, რადგანაც გაზეთი ჩვენში სულ ახალი საქმე იყო მაშინ, თანამშრომლებიც ცოტანი იყვნენ და ამის გამო რედაქტორს დიდი შრომა ადგა. სტამბა და გაზეთი ძალიან ნაკლებ შემოსავალს იძლეოდენ, ასე რომ რედაქტორს თვეში ოცდაათ მანათზე მეტი არ ეძლეოდა ჯამაგირი. ასეთი მცირე ჯამაგირით გიორგის რასაკვირველია არ შეეძლო თფილისში ეცხოვრა და გაზეთსაც გაძღოლოდა. ამიტომ ის იძულებული იყო კერძო გაკვეთილებით დაეკმაყოფილებინა თავისი ცხოვრება. 67 წელს გიორგის რედაქტორობით გამოვიდა თფილისში „ვეფხის ტყაოსანი“ და გიორგი ერისთავის სრული თხზულება ორ წიგნათ. ეს პირველი გამოსვლა იყო ერისთავის ნაწერებისა. 1868 წ. გიორგიმ დააფუძნა საკუთრათ „სასოფლო გაზეთი“ სოფლის ხალხისათვის. ასეთ ჯაფაში და შევიწროებაში იყო გიორგი 69 წლის ზაფხულამდე, როდესაც მეტის შრომით დასუსტდა, დასნეულდა და იძულებული გახდა, გაზეთი გარდაეცა განსვენებული სერგეი მესხისათვის. ამავე წლის გასულს ის გაემგზავრა პეტერბურღს, იქ უნივერსიტეტში დაიჭირა ეგზამენი ქართული ენის მასწავლებლობაზე გიმნაზიაში და დაბრუნებისათანავე გაწესებული იქმნა თფილისის რეალურ სასწავლებელში და ქალების ინსტიტუტში მასწავლებლათ. იმავე დროს მან იჯარით აიღო ერთი სტამბა, რომ ლიტერატურული შრომა უფრო გაეადვილებია. 71 წელს მან დაიწყო „კრებულის“ ბეჭვდა, რომელშიაც გიორგისთან ერთათ დიდ მონაწილეობას იღებდა ნ. ნიკოლაძე.

გიორგის იდეალი დასავლეთი ევროპა იყო; ის დარწმუნებული იყო, რომ ჩვენი ცხოვრება ევროპიული ცხოვრების გზაზე მიდიოდა და ღონეს და ნიჭს არ ზოგავდა, რომ ხალხი გამოეფხიზლებია და საზოგადოებისათვის ახალი დროის მოთხოვნილება და მიდრეკილება დაენახვებია. მისი შრომა რომ უფრო ნაყოფიერი ყოფილიყო, მან განიზრახა ევროპის ცხოვრების ადგილობრივათ შესწავლა, კიდევ მეტი ცოდნის შეძენა და ამ მიზნით 1873 წელს ბევრ ჩვენებურ ყმაწ[illegible]ლ კაცებთან და ქალებთან ერთათ წავიდა საზღვარგარეთ; „კრებული“ გადასცა კირ. ლორთქიფანიძეს და „სასოფლო გაზეთი“ პეტ. უმიკაშვილს. რამდენისამე ხანს ციურიხში იყო, შემდეგ ჟენევაში გადავიდა; რადგანაც ფული შემოაკლდა, ჟენევიდან საქართველოში დაბრუნდა, დააგირავა თავისი ადგილ მამული და ისევ შვეიცარიაში წავიდა. შვეიცარიიდან გადავიდა მიუნხენში, აქ 75 წელს შეირთო პირველი ცოლი ოლიმპიადა ნიკოლაძის ასული; ამას შემდეგ უმთავრესათ ფრანკფურტსა და მიუნხენში ცხოვრებდა. ამ დროს განმავლობაში გიორგი გაჭირვებულათ ცხოვრობდა და იძულებული იყო მიემართა

სხვა და სხვა საშუალებათათვის თავის სარჩენათ; სხვათა შორის ის ატარებდა ნემეცურ. წიგნებს გასაყიდათ და ავრცელებდა ახალ დაარსებულ ნახატებიან გაზეთს („uber fonder menr") და თითო ხელის მომწერზე ეძლეოდა თითო მარკა (45 კ.) ჯილდოთ. ის თვალ-ყურს ადევნებდა და სწავლობდა ევროპის ცხოვრებას, მეცნიერებას, მაგრამ განსაკუთრებულ ყურადღებას ისტორიას და არქეოლოგიას აქცევდა. საზღვარგარეთიდან გიორგი 77 წლის დამდეგს ჩამობრუნდა და პირველ ხანებში თავისი ცოლ-შვილით (პირველი შვილი საზღვარ გარეთ მიეცა, რომელიც სამი წლის შემდეგ გარდაიცვალა) ქუთაისში ცხოვრობდა. როდესაც რუს-ოსმალოს ომი ატყდა, გიორგი ოსმალეთში გადვიდა; იქიდან რუსულ გაზეთს „Голосъ"-ს, რომელიც პეტერბურღში გამოდიოდა, კორესპონდენციებს უგზავნიდა. პატარა ხანს ის ცხოვრებდა ბათუმში; 79 წლიდან Тифлисскій „Вѣстникъ"-ში მუშაობდა და ამგვარ ლიტერატურულ შრომაში ოთხი წელი გაატარა ე. ი. 83 წლამდე. 81 წელს ის შეუამხანაგდა ივ. მუხრანსკის და ზემო იმერეთში ჭალის მთაში ნავთის წარმოება დაიწყო. ჭალის მთიდან დაუწმენდელი ნავთი ტიკებით ტფილისში ჩამოჰქონდათ და აქ წმენდავდენ. წარმოების რიგიანათ წაყვანა და გაფართოვება დიდი სასარგებლო იქნებოდა მთელი ზემო იმერეთისათვის და გიორგიც ამიტომ შრომობდა, მაგრამ საქმე ძალიან ბევრ ფულს ითხოვდა, უამისოთ მისი რიგიანათ წაყვანა შეუძლებელი იყო, ამიტომ გიორგიმ ნავთის წარმოებას ზემო იმერეთში თავი დაანება. ამ დროს მას მოუკვდა პირველი ცოლი და სამი პატარა შვილებით ქუთაისს დაბრუნდა და აქ მსახურებდა რამოდენიმე ხანს. 83 წელს ის დაინიშნა რკინის გზის აგენტათ და ცდილობდა, ხონში რკინის გზა გაეყვანა. ამგვარათ თუმცა პრაქტიკულ ცხოვრებაში დაიწყო მან ტრიალი, მაგრამ კალამი მას ხელიდან არ დაუტოვებია. ამ დროს განმავლობაში მან დაწერა „ლომკაცი", „მამიდა ასმათი". გარდა ამისა თანამშრომლობდა თფილისის ქართულსა და რუსულ ჟურნალ გაზეთებში; ამგვარათ შრომა საქმით და სიტყვით, მოღვაწეობა პრაქტიკული და თეორიული ამ კაცში შეერთებული იყო.

86—89 წელს გიორგი გაზ. „ივერიის" თანამშრომელი გახდა. რედაქციამ აღუთქვა გონორარი ყოველ სტრიქონში; გიორგი ხშირათ უგზავნიდა ნაწერებს, მაგრამ რედაქცია იშვიათათ ბეჭდავდა მის ნაწერებს. სხვა შემოსავალი გიორგის არსაიდან ჰქონდა და ამიტომ გაჭირვებულ მდგომარეობაში იყო. ამ დროს ივერიაში იბეჭდებოდა მისი მოთხრობა „ედიშერ ქველბაქიანი". 90 წელს ბათომში დაარსდა ქართველების არტელი და გიორგი მიიწვიეს, რომ არტელისათვის რიგიანი დაწყობილება მიეცა და პატრონობა გაეწია. ქართველების არტელს ბედი არ ულიმოდა, რადგანაც ბევრი მეტოქე ჰყავდა და თვით არტელის წევრნი ასეთ საქმეში სრულებით გამოუცდელი იყვენ და ამიტომ საქმესაც ვერა შოულობდენ არტელისათვის. გიორგიმ მიაშურა არტელს. მას დაუნიშნეს თვეში ასი მანეთი და არტელის მთელი არსებობა მას მოახვიეს თავზე. გიორგის პირველ ხანებში დიდი შრომა დაჭირდა; სამუშაოს მიცემა ქართული არტელისათვის ყველას ეძნელებოდა. პირადი თავდებობით რამოდენიმე კვირაში არტელს გიორგიმ სამუშაო უშოვნა; მალე საქმე ნელ-ნელა გაიჩარხა და არტელს შემოსავალი რიგიანი ჰქონდა. არტელის წევრებმა როცა ეს დაინახეს, იფიქრეს, აწი მარტო ჩვენც აღარა გვიჭირსო. ეს რომ გიორგიმ გაიგო, არტელს თავი დაანება. ამავე დროს ის მონაწილეობას იღებდა „ჯეჯილ"-ში, სადაც წერდა ისტორიულ მოთხრობებს (ჩვენი ძველი გმირები). 1891 წელს გიორგი თფილისში გადმოვიდა შვილებით. აქ მეორეთ დაქორწინდა ანასტასია თუმანიშვილის ქალზე, ამავე წელს მან განიზრახა ქართულ ჟურნალის დაარსება. მისმა მეუღლემ, რომელიც 90 წლიდან საყმაწვილო ჟურნალ „ჯეჯილს" სცემდა, 93 წელს საყოველ კვირაო გაზეთი „კვალი" დააარსა და ამ გვარათ გიორგის საშუალება მიეცა, ისევ ძველებური ენერგით მოეკიდა ხელი ლიტერატურული შრომისათვის. 97 წლამდე მას ბევრი შრომა გაუწევია, რომ კვალისათვის მოეპოებია როგორც მწერლები აგრეთვე მკითხველები. განსაკუთრებით ის ცდილობდა, მოეზიდნა ახალგაზდა მწერლები, რომლებსაც ნიჭსა და წერის ხალისს ატყობდა. 92 წ. ის აირჩიეს თფილისის ქალაქის გამგეობის წევრათ და მონაწილეობას ღებულობდა ხოლერასთან ბრძოლაში. მარტო თეორიული მუშაობით ის ვერაოდეს ვერ კმაყოფილდებოდა და ამიტომ უკანასკნელი ხუთი წელიწადი ის შეუდგა მთამადნების საქმეს ზემო იმერეთში, ჭალის მთაში. ჭალის მთაში წარმოების დაწყებით ის ცდილობდა ხალხის ქონებრივათ წინ წაწევას, რადგანაც სულ ხშირათ იცოდა ხოლმე იმისი თქმა: სანამ ჩვენი ხალხი ქონებრივათ ცოტა არ მოჯობინდება, სურვილიც რომ დაებადოს, მაინც ვერ დაწინაურდება გონებრივათო. თუ რუსეთში დადიოდა გიორგი ამ საქმისათვის, თუ ჭალის მთაში, დაჰყავდა სპეციალისტები მადნების საკვლევათ. ასეთმა შრომამ ის დაასნეულა და ბოლოც მოუღო.

ლიტერატურულ შრომას გარდა განსვენებული მონაწილეობას იღებდა თეატრის საქმეშიც, სანამ სამუდამოთ სცენა დამკვიდრდებოდა: გარდა იმისა, რომ პიესებს წერდა თანამედროვე ცხოვრებიდან, სცენაზედაც თამაშობდა ხოლმე. გიორგი იყო მრავალ მხრივი განვითარების პატრონი მოღვაწე. არ ყოფილა არცერთი დარგი მწერლობისა, რომ მას მხურვალე მონაწილეობა არ მიეღოს და კვალი არ დაეჩნიოს. წერდა ლექსებს, მოთხრობებს, რომანებს, ფელეტონებს, დრამებს ისტორიულს და საბუნებისმეტყველო წერილებს, არაკებს, პოლიტიკურ მიმოხილვას, კრიტიკულ წერილებს, ფილოლოგიურსა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

არქეოლოგიურ გამოკვლევებს როგორც ქართულათ, ისე რუსულათაც (მოსკოვის სარქეოლოგიო საზოგადოების წევრი იყო და ხშირათ ათავსებდა ამ საზოგადოების გამოცემებში თავის გამოკვლევებს). ძლიერი ნიჭი მას ჰქონდა ბელეტრისტიკაში და ამ დარგს ჩვენი ლიტერატურისას დრმა კვალი დაჩინა: რეალურ მიმართულებას მან გაუკვლია გზა და მჭიდროთ გაადგმევია ფესვები.

როგორი მიმართულებისაც უნდა იყოს ქართველი ყველა ადიარებს, რომ ამ ორმოცი წლის განმავლობაში გიორგი წერეთელი იყო ქართული მწერლობის და ცხოვრების ერთი იმ თავ-გამოდებულ მოჭირნახულეთაგანი, რომელთაც ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობისათვის ზრუნვა და თავგანწირული შრომა დაუსახავთ ცხოვრების მიზნათ. უნივერსიტეტის სკამიდანვე ცდილობდა ის ქვეყნის სამსახურს; გამოვიდა თუ არა ცხოვრებაში, მთელი ორმოცი წელიწადი თუ სიდარიბე თუ სიცივე და მრავალი სხვა გაჭირვება აიტანა თავისი ერის სიყვარულის გულისათვის, თავისი ერის კეთილდღეობისათვის შრომას შეალია თავისი ჯანმრთელობა და მოისწრაფა დღე: 58 წლის კაცს ჯერ კიდევ შეეძლო სიცოცხლე, ჯერ კიდევ შეეძლო შრომა, სარგებლობის მოტანა, სიკვდილის დროსაც თავისი თავი და ცოდვილი კი არ ახსოვდა, არამედ საზოგადო საქმე: გარდაცვალების წინ ამას ამბობდა: ნეტავი პატარა ხანს კიდევ დამცლოდა შრომაო. მას სიკვდილის უკანასკნელ უამამდისაც კი ქვეყნის სვე-ბედი აინტერესებდა. გარდაცვალების სამი საათის წინ მოითხოვა დიდის გაზეთი და რადგანაც თითონ ადარც თვალი უჭრიდა და ადარც ენა, სხვას გადასცა და ანიშნა უკანასკნელი დეპეშები წამიკითხეო... მან მოისმინა ყველა ეს და კმაყოფილი მეორე გვერდზე გადაბრუნდა. მოვალეობა მოქალაქისა ადასრულა და მით ადასრულა თავისი ცხოვრებაც [1])...

ძალიან ცოტაა ჩვენში ისეთი ადამიანი, რომელსაც პირადი ბედნიერება საზოგადო კეთილ დღეობისათვის სრულიად შეეწიროს მსხვერპლათ; ამისთანა ადამიანის დაკარგვა, ვინც უნდა იყოს ის და რა მიმართულებისაც, მთელი ერის უბედურებას შეადგენს, მისი დაკარგვა მთელი ერის საგლოვია.

საუკუნო იყოს შენი ხსენება და დაუვიწყარი შენი სახელი, საყვარელო გიორგი!

---

[1]) განსვენებულს დარჩა სამი შვილი, ორი ვაჟი და ერთი ქალი: ელენე, ლევანი და ირაკლი. ელენემ თფილისის გიმნაზიაში დაამთავრა სწავლა, ლევანი უნივერსიტეტში სწავლობს. ხოლო ირაკლი წელს ათავებს გიმნაზიას.

† ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲬᲔᲠᲔᲗᲔᲚᲘ.

Დაუვიწყარო გიორგი!

დიდიხანი არ არის მას შემდეგ, რაც გულის კვნესით მითხარი, მალე მოგიხდება, ჩემო ნოე, ჩემი ნეკროლოგის დაწერაო. და აი ეს შენი წინათ გრძნობა ასრულდა, ულმობელმა კანონმა ბუნებისამ თავისი გაიტანა და მეც ხელთ მიჭირავს კალამი შენთან კიდევ ერთხელ გამოსალაპარაკებლათ და სამუდამოთ გამოსათხოვებლათ. მარა, რა უნდა გითხრა მე, ჩემო გიორგი? როგორ უნდა გამცნო მე ის, რაც შენთვის არასოდეს არ მიცნობებია? როგორ უნდა გავაცნო შენი ვინაობა სხვებს, რომელთათვისაც მე ეს არასოდეს არ მიცნობებია? ნუ თუ მეც ის უნდა გითხრა, რასაც ყველა გეუბნება? ნუ თუ მეც ის უნდა ჩამოვთვალო, რასაც ყველა ხედავს? ნუ თუ ის უნდა ვიცნო, რაც შენი დაუძინებელი მტრებიც კი იძულებულია იცნონ? არა, მე არც ერთ ამას არ ვიზამ, არც ერთ ამაში არ გამოიხატება ის, რის გამოხატვაც მე მინდა. და განა შენში ვაფასებდი იმას, რასაც თითოეული აფასებს? განა შენთან კავშირი და მეგობრობა იმიტომ მქონდა, რომ შენ იყავი დამაარსებელი ქართული პრესის, შემქნელი ახალი ბელეტრისტიკის და სხვა ამისთანაების? არა, სრულიადაც არა. ვერც ერთი ეს ვერ მოინადირებს ადამიანის გულს. გულის მონადირება შეუძლია მხოლოთ გულს და აი სწორეთ შენში ვპოვე მე ამნაირი გული. ამ საერთო სასოწარკვეთილებაში, შენში ვხედავდი მე სიმხნევეს და ძლიერებას! ამ საყოველთაო მოხუცებაში, შენში ვხედავდი მე ახალგაზდურ ოცნებას და გატაცებას! ორმოც და თვრამეტი წელი არ გამძიმებდა იმდენათაც კი, რამდენათაც ბევრს, ძალიან ბევრს ოცი-ოცდაორი წელი ამძიმებს. და მერე ყველამ იცის ეს? და თუ ყველამ არა, რამდენიმემ, ოცმა, ათმა მაინც? არა მგონია, ხოლო ისე, როგორც მე არც ერთმა. და აი, სწორეთ ეს შენი ადამიანური ბუნება იპყრობს სრულ ჩემ ყურადღებას და მსურს აქითკენ მივაპყრო სხვებისაც...

ჩემო მკითხველო!

გიორგი წერეთელი—ის იყო განხორციელებული ენერგია. ის, 1866 წ. „დროების“ პირველსავე ნომერში, ჯერ კიდევ ოცდაორი წლის ახალგაზდა, წერდა: „იცი მკითხველო რაში მოვიპოვე მე ჩემი სიჭაბუკე?—გლეხების განთავისუფლებაში. დიახ, იმ დროდან როდესაც ჩვენ დაჩაგრულ ძმებს მიეცათ დიდი ხნიდან დაკარგული სიმართლე, იმ დღიდან წარმოდინდა ჩემი ახალი წყარო ჭაბუკობისა და შენიც უფრო ნათელი, ღონიერი და უფ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რო სამართლიანი წყარო ცხოვრებისა“. მას შემდეგ განვლო 35 წელმა, გიორგი მოხუცებაში შევიდა, მარა ეს სიჭაბუკე, ეს აღფრთოვანება ბოლომდე შერჩა. მთელი ეს ხანა იყო მისთვის ხანა გამუდმებული ბრძოლისა, ის ებრძოდა საზოგადო უსამართლობას, ებრძოდა უსამართლო საზოგადოებას და აი ამ ბრძოლით მივიდა საფლავის კარებამდი. მის თანამებრძოლთა დიდმა უმრავლესობამ კაიხანია დაყარა იარაღი, კაი ხანია მოიდრიკეს მუხლი ძლიერის წინაშე, კაი ხანია გუნდრუკს უკმევენ იმათ, რომელთაც წინეთ ასე ებრძოდენ. ამათ მხოლოთ გიორგი წერეთელი გამოაკლდა, ამ უკუქცევაში მხოლოთ გიორგი დარჩა თავის ალაგს და კიდევ უფრო შეიარაღებული განაგრძო თავისი გზა. და აი, ამ გზაზე დაასრულა მან თავისი სიცოცხლე.

დიახ, გიორგი წერეთელი იყო მუდამ მხნე, მუდამ მზათ საბრძოლველათ და თავის დასადებათ. ამით აიხსნება მეორე მისი ძირითადი თვისება— ის იყო მეტისმეტი გაბედული და პირდაპირი. რაც უნდა ყოფილიყო, თუ კი დაინახავდა მის სარგებლობას, უთუოთ ხელს მოკიდებდა და არც ადვილათ მოეშვებოდა. მან არ იცოდა რა არის დაბრკოლება. ყველა რომ მის წინააღმდეგ ამხედრებულიყო, ის ამით ოდნავაც არ შეეშინებოდა, დარწმუნებული თავის საქმეში, ის მაინც მიდიოდა ბოლომდე. მეორე მხრით, რა გარემოებაშიც უნდა ყოფილიყავი, ის თავის აზრს პირდაპირ, მოუფერებლივ, გეტყოდა. ლაქუცობა, თავზე ხელის მოსმა და ამით კაცის მოყიდვა მისთვის არ დაწერილა. დიპლომატობა და პოლიტიკობა მისთვის არ არსებობდა. გეწყინებოდა თუ გესიამოვნებოდა— ეს მისთვის სულ ერთი იყო. მან იცოდა მხოლოთ, რომ მართალს ამბობდა და ამის დამალვა არ ეხერხებოდა.

დიახ, გიორგი წერეთელი პირში მთქმელი იყო. აქედან წარმოდგება მისი მესამე თვისება— გულწრფელობა. მის მოქმედებას თუ მოსაზრებას არავითარი სარჩული, წინადანზრახული ანგარიში არ ჰქონდა. მას ეს ზიანს მოუტანდა თუ სარგებლობას—არ ანგარიშობდა. პირადი სარგებლობით ის საზოგადო მოღვაწეობაში არ ხელმძღვანელობდა. და როცა მას დიდი თანამდებობა შეაძლიეს, ოღონდ კი საზოგადო მოღვაწეობას თავი დაანებეო, მან ეს შეურაცხყოფათ მიიღო და კიდევ უფრო მეტი სიყვარულით მოეჭიდა არჩეულ ასპარეზს. რანაირი იყო ეს ასპარეზი, იმან ნათლათდაახასიათა 1883 წ. სერგეი მესხის დასაფლავებაზე. აი რა თქვა გიორგიმ თავის სიტყვაში: „ვერც ერთი თქვენგანი იმ იაშინელ ჯაფას და თავგანწირულებით ბრძოლას ვერ წარმოიდგენს, რაც მე და ჩემ ამხანაგებს გვინახავს და გამოგვიცდია მესხთან შრომაში. კვირის კვირამდის, თვისთვეობამდის, დღე და ღამ უძილობა, მუდამ რკინის მტვერში (სტამბაში) ყოფნა და მით სუნთქვა, იმ მძიმე ჰაერით ფილტვების ლპობა“... („დროება“ № 145. 83 წ.) აი რა ასპარეზს ებღაუჭებოდა ორივე ხელებით და ეს არა მარტო მაშინ, არამედ მთელ თავის სიცოცხლეში, სიკვდილის კარებამდე.

დიახ, გიორგი წერეთელი გულწრფელი მოღვაწე იყო. აქედან მომდინარეობს მისი მეოთხე ძირითადი თვისება— უანგარობა. ის რომ ფულის, ანგარების მოყვარული ყოფილიყო ამდენ ხანს ყველა ამას შეიძენდა და უკანასკნელ წლებს განცხრომაში გაატარებდა, სწორეთ ისე, როგორც მისმა ამხანაგებმა შეიძინეს და განცხრომაში იმყოფებიან. მაგრამ, გიორგი სწორეთ იმით განირჩევა იმათგან, რომ მან უარჰო ეს გზა, მან არ მოინდომა თფილი ადგილისთვის თავის დამდაბლება და სხვების წინაშე მათხოვრობა. ის მთელ თავის სიცოცხლეში მხოლოთ ერთხელ შევიდა სამსახურში და ისიც ჩქარა მიატოვა... მისი ბუნება ვერ ურიგდებოდა ქვეყნის უკულმართობას და ამიტომ მუდამ გაჭირებაში და სილარიბეში იყო.

დიახ, გიორგი წერეთელი უანგარო კაცი იყო. აქედან წარმოდგება მისი მეხუთე ძირითადი თვისება—სიუხვე და გულკეთილობა. მას თუ რამე ჰქონდა, სხვისთვის არ ზოგავდა, გაჭირებაში გამოცდილი გაჭირებულთ ხელს უწვდიდა. საკმარისია მოვიხსენიოთ ის რომ ყოველი მხრიდან დევნული და გასაწყლებული ეგნატე ნინოშვილი მან შეიფარა, ავათმყოფობის დროს მან გაუწია პატრონობა, დამარხვის დროს ძველი თაობიდან მხოლოთ ის წავიდა მის პატივის საცემლათ და ბოლოს მან წარმოთქვა საისტორიო სიტყვა...

ერთი სიტყვით, მხნეობა, პირდაპირობა, გულწრფელობა, უანგარობა და გულკეთილობა—აი რა მაღალი თვისებებით იყო დაჯილდოებული გიორგი წერეთელი...

აი ვინ იყო ის, ჩემო მკითხველო!

აი ვინ იყავი შენ, ძვირფასო გიორგი! მაგრამ რადგანაც ამ ჩვენ გათახსირებულ დროში არც ერთ ამ თვისებას ფასი აღარ აქვს, ამიტომ აღარც შენ დაგდვეს ფასი, აღარც შენ მოგცეს მოსვენება არც კარგათ ყოფნობაში და არც ავათ ყოფნობაში. და აი, როცა შენ სამუდამოთ მოისვენე, სამუდამოთ დადუმდი, მოისვენეს და დადუმდენ ისინიც და ახლა შენი ცხედრის წინაშე ყველა ერ-

თათ თავშეყრილი სინანულს ეძლევიან. ამოიხედე ერთი ზევით და ამათ შენებრ ნელი ხმით უთხარი: მომიტევებია!..

ნ. ჟორდანია.

სამგლოვიარო ტელეგრამები.

მოსკოვი. „კვალი"-ს რედაქციას და ანასტასია წერეთლისას.

ნებას ვაძლევ ჩემ თავს, რომ უღრმესი თანაგრძნობა გამოგიცხადოთ თქვენი მეუღლის გარდაცვალებისა გამო. ღმერთმა შეგაძლებიოთ მწუხარების ატანა.

გრაფინია **ᲣᲕᲐᲠᲝᲕᲘᲡᲐ** თავმჯდომარე მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოებისა.

მოსკოვი. „კვალის" რედაქციას.

განუსაზღვრელი მწუხარება მომაყენა მრავალმხრივი საზოგადო მოღვაწის, გიორგის, გარდაცვალებამ.

ხახანაშვილი.

მოსკოვი. „კვალი„-ს რედაქციას.

ჩვენი ღრმა მწუხარების ხმას ვუერთებთ საზოგადოებისა და მწერლობის გლოვას გიორგი წერეთლის დაკარგვის გამო. გულწრფელ თანაგრძნობას ვუცხადებთ განსვენებულის ოჯახს.

ქართველი სტუდენტები.

პარიჟი. „კვალი"-ს რედაქციას და ანასტასია წერეთლისას.

გული დაგვითუთქა თქვენმა უბედურებამ და იმ დასაკლისმა, რომელიც ჩვენ ქვეყანას ეწვია.

ქართველი სტუდენტები.

ტომსკი. ,,კვალის'' რედაქციას.

ფრიად შეწუხებული ვართ. ტომსკის მეგობრებისა და სტუდენტების სახელით გვირგვინით შეამკეთ ჩვენი საყვარელი სამშობლოს ღირსეული შვილისა და უანგარო მოღვაწის კუბო.

ტომსკის ქართველი სტუდენტები.

იურიევი. „კვალი"-ს რედაქციას.

წმინდის გულით ვიგლოვთ ჩვენი ძვირფასი მოღვაწის, გიორგი ექვთიმეს ძის წერეთლის დაკარგვას.

სტ. დევდარიანი, ნასრაძე

ქუთაისი. ანასტასია წერეთლისას.

თქვენი განსვენებული მეუღლის, გიორგი წერეთლის, დაკარგვისა გამო მისი მეგობრები და ამხანაგები დიდი მწუხარებით გლოვობენ ნიჭიერსა და დაუღალავ მუშაკს ჩვენი ხელოვნური და მეცნიერული ლიტერატურის აყვავებისა და საზოგადოებრივი თვითცნობიერების განვითარებისათვის. გიცხადებთ თქვენ და განსვენებულის შვილებს ჩვენს გულწრფელ თანაგრძნობას.

კირილე ლორთქიფანიძე, პეტრე წულუკიძე.

ქუთაისი ,,კვალი''-ს რედაქციას და ანასტასია წერეთლისას.

თქვენთან ერთათ მდუღარე ცრემლებით ვგლოვობ თქვენი ოჯახისა და ჩვენი ლიტერატურის საშინელ დაკარგვას. ჩვენს მწერლობას მოაკლდა ძლიერი შემოქმედი და წარმომადგენელი, ჩვენს საზოგადო ცხოვრებას მისი იდიალებისათვის საუკეთესო მებრძოლი; ამ იდიალებით გატაცებულს გიორგის არა ერთხელ დაუვიწყნია სრულიად მთელი თავისი „მე". მეგობრები და ამხანაგნი არასოდეს არ დაივიწყებენ გიორგის, რომელიც მუდამ მზათ იყო, სულითა და გულით დახმარებოდა და ზნეობრივათ გაემხნევებია გაჭირვებაში მყოფი ყოველი ადამიანი. მე, როგორც ერთ მის მეგობარსა, მარად გულში მექნება გიორგის, ამ ნიჭიერი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის სიმპატიური სახე, რომელიც ასეთის გრძნობითა და გულწრფელობით ეკიდებოდა ჩვენი ცხოვრების ყოვლგვარ მოვლინებას.

სამსონ თოფურია

ქუთაისი. „კვალი„-ს რედაქციას და ანასტასია წერეთლისას.

ქუთაისის სააზნაურო საადგილ-მამულო ბანკის წარმომადგენელთა სახელით და პირადათ მე გულწრფელ თანაგრძნობას გიცხადებთ იმ მძიმე დასაკლისისა გამო, რომელიც თქვენ და საზოგადოებას ეწვია. გიორგი ექვთიმეს ძის გარდაცვალებით ჩვენ დავკარგეთ მოღვაწე, რომელიც დაუღალავათ ემსახურებოდა საზოგადო საქმეს 35 წლის განმავლობაში.

ზედამხედველი კომიტეტის თამჯდომარე ლოლუა.

ფოთი. ანასტასია წერეთლისას.

გთხოვთ მიიღოთ ჩემი გულითადი თანაგრძნობა თქვენის ძვირფასის მეუღლისა და დაუვიწყარი საზოგადო მოღვაწის დაკარგვისა გამო.

ალექსანდრე ეპისკოპოსი.

ფოთი „კვალი"-ს რედაქციას და ანასტასია წერეთლისას.

განუსაზღვრელათ ვწუხვართ ნაჭიერი ბელლეტრისტის და მეგობრის დაკარგვას. გულწრფელათ თანავუგრძნობთ თქვენს მწუხარებას.

რომანოზ და იაკობ ფანცხავა.

ფოთი. ანასტასია წერეთლისას.

გთხოვთ, პატივცემულო ანასტასია, მიიღოთ და ჩემ დისწულებსაც გადასცეთ ჩემი განუსაზღვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რელი თანაგრძნობა ჩვენ საერთო უბედურებაში.

ნიკო ნიკოლაძე.

განჯა „კვალი“-ს რედაქციას და ანასტასია წერეთლისას.

განჯის ქართველები მონაწილეობას იღებენ თქვენ საშინელ უბედურებაში და ღრმა მწუხარებას ეძლევიან დაუვიწყარი საზოგადო მოღვაწის დაკარგვის გამო.

სარაჯიშვილი.

ქუთაისი. „კვალი»-ს და ,,ჯეჯილის'' რედაქციას და ანასტასია წერეთლისას.

მე და ჩემი თანამშრომელნი გიცხადებთ ღრმა მწუხარებას გ. ე. წერეთლის გარდაცვალების გამო. სამშობლომ დაჰკარგა ნიჭიერი და ძვირფასი შვილი, რომელიც დაუღალავათ იღვწოდა მისთვის და თავ დავიწყებით ემსახურებოდა მას.

ქუთაისის საურთიერთო კრედიტის საზოგადოების თავმჯდომარე თუმანიშვილი

ბაგდადი, ანასტასია წერეთლისას.

ღრმა მწუხარება მაგრძნობია დაუღალავი მუშაკი გიორგის გარდაცვალებამ, რომელიც მთელი თავისი არსებით თავდადებული იყო სამშობლო ლიტერატურისა და ისტორიისათვის და რომელსაც ამ ასპარეზზე დიდი ღვაწლი მიუძღვის. ჩემ მდუღარე ცრემლებს ვუერთებ თქვენსას და დავტირი ძვირფას მეგობარს.

ალექსი ჯაჯინაძე.

ბაგდადი. „კვალის“ რედაქციას.

კავკაველი ქართველები ვუერთებთ ჩვენ გლოვას საზოგადო მწუხარებას და განსვენებულის ოჯახს გულწრფელ თანაგრძნობას ვუცხადებთ.

გოთუა.

ოდეესი „კვალის“ რედაქციას.

გულდათუთქული ვიგლოვ გიორგის გარდაცვალებას, რომელმაც ამდენი ნაყოფიერი შრომა გასწია სამშობლო ლიტერატურისა და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა და სხვა ასპარეზზე და რომელსაც ჯერ კიდევ ბევრი სარგებლობის მოტანა შეეძლო სამშობლოსათვის, და ჩემ გულითად მწუხარებას თქვენსას ვუერთებ. მშვიდობა მიცვალებულის სულს, რომელიც სიცოცხლეში მოკლებული იყო მოსვენებას.

დუტუ მეგრელი.

ბათომი. „კვალის“ რედაქციას.

წმინდა მოვალეობათ ვთვლი, უღრმესი მადლობა შევწირო ცხედარს ძვირფასი მიცვალებულისას, რომელსაც ამოდენი უმოღვაწია ჩვენი საზოგადოებრივი თვით ცნობიერების გასავითარებლათ.

დავით კლდიაშვილი.

აჯიკაბული. „კვალი“-ს რედაქციას.

ვინაწილებთ რა საზოგადო მწუხარებას, სამშობლო ლიტერატურისათვის ნიჭიერი მუშაკის პატივცემული გიორგი ექვთიმეს ძის, უდროოთ დაკარგვის გამო, ვუერთებთ ჩვენ ღრმა მწუხარებას ჩვენ მოძმეთა საზოგადო ვარამს.

აჯიკაბულის ქართველები.

სიღნაღი. „კვალის“ რედაქციას.

გიორგის გარდაცვალება საგრძნობი დასაკლისია საქმის კაცებით და მუშაკებით ღარიბ სამშობლოსათვის. განუსაზღვრელათ ვწუხვართ. პანაშვიდებს ვიხდით.

სიღნაღის ქართველები.

ქუთაისი. ანასტასია წერეთლისას.

ჩვენს ღრმა მწუხარებას გიცხადებთ თქვენ და თქვენ შვილებს დაუვიწყარი გიორგის უდროოთ გარდაცვალების გამო. იყოს თქვენი ნუგეში მოგონება მისი ნაყოფიერი შრომისა სამშობლოს საკეთილდღეოთ.

პავლე თუმანიშვილი ოჯახობით.

ხარკოვი. „კვალის“ რედაქციას.

ჩვენი ცნობილი პუბლიცისტისა და საზოგადო მოღვაწის, გიორგი წერეთლის, გარდაცვალების ამბავმა ფრიად შეგვაწუხა.

ხარკოვის ქართველები.

ყაზანი. „კვალი“-ს რედაქციას.

ღრმათ შეწუხებულნი ვიგლოვთ დაკარგავს ჩვენი საზოგადო მოღვაწისას და მებრძოლისას საზოგადო თვითცნობიერების გასაღვიძებლათ.

ყაზანის ქართველი სტუდენტობა.

ბათომი. „კვალის“ რედაქციას.

ბათუმის ქართველი საზოგადოება და კერძოთ მე უღრმეს თანაგრძნობასა და მწუხარებას გიცხადებთ დაუვიწყარი გიორგის, სამშობლო ლიტერატურისა და პროგრესის ნიჭიერი და დაუღალავი მუშაკის, გარდაცვალებისა გამო.

ვოლსკი

გორი. ,,კვალი''-ს რედაქციას და ანასტასია წერეთლისას.

გორის ქართველი საზოგადოება ტირის სამშობლო ლიტერატურის დაუღალავი მუშაკის, გიორგი ექვ-

თიმეს ძის, უდროოთ გარდაცვალებას და გულწრფელ თანაგრძნობას გიცხადებს.

საკოვი, დურმიშხან ქურული, ლომაური

ამ ტელეგრამებს გარდა ბევრი სხვა მოგვივიდა კიდევ, რომლებსაც უადგილობისაგამო ახლა ვერა ვბეჭდავთ.

სასიქადულო გიორგი წერეთელს.

უეცრათ შენი მომკვეთი
ნეტა ვიცოდეთ, რა იყო?
ამოტეხილი გრიგალი,
თუ მოდენილი ზღვა იყო?..

—

თავდადებული მშრომელი,
დაუღალავი მედგარი!..
აი, ვის ტირის დღეს ერი,
სტანჯავს რა შენი ცხედარი!..

—

შეერთებული გრძნობისა
ცრემლი თავს დაგდის ღვარათა;
ამ სოფლათ გეძღვნის სახსოვრათ,
იმ სოფლათ სანუკარათა!..

—

ნეტარ ხარ, პატიოსანო
დასაწყის-დასასრულითა,
რა ეგებები საფლავსა
ეგზომ დიადი სულითა!..

გ. ბოკერია.

გიორგი წერეთელი როგორც ბელლეტრისტი.

ვინ იცის, რა სიხარულით არ მივეგებეთ ახალ წელიწადს, რა იმედებით არ გავუღეთ კარი ახალ საუკუნეს, მაგრამ ახალმა წელმაც და ახალმა საუკუნემაც მოსვლისათანავე უბედურება მოუტანეს ჩვენ ცხოვრებას: დღეს მიაბარებენ მიწას გიორგი წერეთელს. თუ ვინმე იყო ჩვენი ქვეყნის გულშემატკივარი, საზოგადო საქმისათვის თავგანწირულათ მშრომელი, იმათში ერთი საუკეთესო ალაგი გ. წერეთელსაც უჭირავს. ბუნებისაგან ნიჭით უხვათ დაჯილდოვებული ადიჭურვა მეცნიერებით, მიიღო მრავალმხრივი ფართო განვითარება. ალაგობრივ შეისწავლა დასავლეთ ევროპის ცხოვრება და ასეთი მომზადების შემდეგ გასაოცარი ენერგიით შეუდგა ჩვენი ცხოვრების გაუმჯობესებისათვის ზრუნვას, თავის სამშობლოს ანაცვალა თავი და ამ თავგანწირულ შრომაში დალია სული. ჩვენ არ შეგვიძლია და არც კისრათ გვიდვია, ამ მოკლე წერილში გაგვეცნო და დაგვეხასიათებია მკითხველისათვის გიორგის მრავალგვარი მოღვაწეობა. ჩვენ მხოლოთ სახეში გვაქვს ამ ჟამათ მისი მოღვაწეობა სიტყვაკაზმული მწერლობის ასპარეზზე, გვინდა, დავანახოთ მკითხველს მისი ხელოვნური ნიჭის უმთავრესი თვისებანი და ამით გამოვეთხოვოთ დაუვიწყარ მოღვაწეს.

ბატონყმობის მოსპობამდე გლეხკაცობა ჩვენი სიტყვაკაზმული ლიტერატურისათვის არ არსებობდა, პოეზიას გლეხობისათვის არ ეცალა, მისი ინტერესებისათვის ზრუნვა კი არა უბრალოთ ხმის ამოღებაც თითქო თავის დამცირებათ მიაჩნდა. ლიტერატურა მაშინ არ იყო ჩვენში იმდენათ განვითარებული, რომ მთელი ჩვენი ცხოვრებისათვის მოეკიდა ხელი, ჩვენი ცხოვრების ყოველი მხარე და თითოეული კლასი გაეხადა თავის შინაარსათ. თავად-აზნაურობას პირველობის დროშა ეპყრა ჩვენ ცხოვრებაში, მის ინტერესებს დაეჩრდილა სხვა ყოველივე, პოეზიაც იმდენათ სუსტი იყო, რომ ამ ჩრდილში ვერაფერს არჩევდა და მხოლოთ თავად-აზნაურობას დასტრიალებდა გარშემო. თავად-აზნაურობის ცხოვრება, მისი შეხედულება, მისი გემოვნება, მისი ინტერესები,—აი რა იყო ჩვენი სიტყვაკაზმული მწერლობის ვიწრო საგანი. ბატონყმობის გადავარდნამ ჩვენ ცხოვრებას დიდი ნაბიჯი გადაადგმევია წინ, ჩვენი საზოგადოების შეხედულობა გააფართოვა და ამ გარემოებამ მწერლობაც განავითარა, ასპარეზი გაუფართოვა. ბატონს მწერლობაში გვერდში ამოუდგა მისი ნაყმევი, გლეხმა შეანგრია მწერლობის ვიწრო კლასსიური ფარგლები და გამოაცხადა: მეც ადამიანი ვარ, მეცა მაქვს გონება, მეცა მაქვს გული, მეც ვფიქრობ, მეცა ვგრძნობ და ამიტომ სრული უფლება მაქვს მწერლობაში ალაგი მოვითხოვო. ახალ სტუმარს ჩვენმა მწერლობამ გამადიდებელი შუშით შეხედა, მისი ღირსებანი გაზვიადებულათ წარმოიდგინა და ამ გარემოებამ გამოიწვია ერთი მხრივ ის სანტიმენტალურ-ტენდენციური მიმართულება ბელლეტრისტიკაში, რომლის წარმომადგენელიც ილ. ჭავჭავაძეა, და მეორე მხრივ ტეტიათა მოტრფიალენი, რომლებსაც ჩვენ ბელლეტრისტიკაში დღესაც დიდი ალაგი უჭირავთ და ნიჭიერი წარმომადგენლებიცა ჰყავთ. მაგრამ სამოცდაათ წლებში განათლებული ახალთაობის საუკეთესო წარმომადგენლებმა უფრო ფართოთ და უტყუვრათ შეხედეს

ჩვენ ცხოვრებას, მის საჭიროებებს და დაარსეს პატარა ლიტერატურული ჯგუფი, რომელიც დაადგა ნამდვილ რეალურ გზას და ნათლის სვეტათ წინ წაიმძღვანა მთელი ერის ინტერესები და არა მარტო თავად-აზნაურობის, ან გლეხობის. ამ ჯგუფის საუკეთესო წარმომადგენელი სიტყვა-კაზმულ მწერლობაში არის გიორგი წერეთელი.

მართალია, რეალური მიმართულება გიორგი წერეთლიდან არ დაწყებულა, მაგრამ ამ სკოლას გიორგი წერეთელმა გაადგმევია მტკიცეთ ფესვები ჩვენ ბელლეტრისტიკაში. მას შემდეგ ამ გზას დაადგენ დ. მეგრელი, ეგ. ნინოშვილი და სხ. ახალგაზდა მწერლები, რომლებსაც ამიტომ შეგვიძლია გიორგი წერეთლის შეგირდები ვუწოდოთ. გიორგი წერეთლის ნიჭის საგანს მთელი ხალხის ცხოვრება შეადგენს: თავის ნაწერებში ის ერთნაირი სინამდვილითა და სისრულით ხატავდა გლეხს, აზნაურს, თავადს, განათლებულს, გაუნათლებელს. ის ღრმათ უკვირდებოდა ცხოვრებას და, რასაც ამჩნევდა, უტყუვრათ ხატავდა, ტენდენციის გულისთვის არ ამახინჯებდა ცხოვრებას. ძვირათ შეხვდებით ისეთ მწერალს, რომ მის ნაწერებში მისი საკუთარი მე არ გამოსჭვირდეს, მისი საკუთარი სიმპატია, ანტიპატია, სურვილი, მისწრაფება არ აძლევდეს თავისებურ ელფერს იმ მოვლენებს და პირებს, რომლებსაც ის ხატავს. ეს არ ითქმის გიორგი წერეთლის შესახებ: როგორც ბელლეტრისტი ის უკნაკლულო ობიექტივისტი არის; მის ნაწერებში თქვენ ვერ ნახავთ მისი „მე“-ს აჩრდილსაც, მის სიმპატია-ანტიპატიას; ის ცხოვრების ხატვის დროს სრულებით ივიწყებს თავის თავს. ჩვენში არიან ისეთი მწერლები, რომლებიც ნაკლულევანებას მალავენ იმ პირებში, რომლებიც მათ მოწონთ, ღირსებას კი აზვიადებენ. გ. წერეთელს კი პირიქით ის საყვედური უფრო ეკუთვნის, რომ ის ცდილობს არავითარი ნაკლულევანება არ დამალოს იმ პირებშიაც კი, რომლებიც სხვა იმის მომქმედ პირებზე როგორც გონებით ისე ზნეობით გაცილებით მაღლა დგანან. მარტო ნამდვილი ცხოვრების ხატვა არ არის მისი თავდები, რომ მწერალს ნიჭი ჰქონდეს და თავისი მოღვაწეობით სარგებლობა მოჰქონდეს; სინამდვილეც არის და სინამდვილეც. ცხოვრებაში ბევრი რამ ხდება, მაგრამ ყოველისფერს არა აქვს მკითხველისათვის მნიშვნელობა. იმის გარჩევა, თუ რომელია ცხოვრების დამახასიათებელი მოვლენა, რომელი სრულიად უმნიშვნელო, მეტათ საძნელო საქმეს შეადგენს და ფეხის წაფორხილებისაც სწორეთ აქ უნდა ეშინოდეს ყოველ მწერალს; ეს ისეთი კაჟია, რომელიც ნათლათ გამოააშკარავებს ხოლმე, რომელ მწერალს აქვს ნიჭი და რომელს არა. გიორგი წერეთლის რეალური მიმართულების მნიშვნელობაც სწორეთ იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ ცხოვრებაში ყოველგვარ მოვლენას დიდი დაკვირვებით ზომავდა და ნათლათ ატყობდა, რა იყო საყურადღებო, რა არა, რა ეკუთვნოდა წარსულს, რა მომავალს. ბატონყმობის მოსპობის შემდეგ, როდესაც გლეხმა ცხოვრების მსვლელობაში აქტიური მონაწილეობა მიიღო, ჩვენმა საზოგადოებრივმა ცხოვრებამ ნელ-ნელა იცვალა ფერი; ნატურალურ წარმოებას, მასზე აშენებულ საზოგადოებრივ განწყობილებას თანდათან გამოეცალა ნიადაგი, დაჰკარგა სიმტკიცე; ცხოვრება ნელანელა დაადგა კაპიტალისტური წარმოების გზას სამოცდათ წლებში და წარმოების ახალმა ერამ შესაფერი საზოგადოებრივი ურთიერთობაც გამოიწვია: შეიცვალა ძველი ფეოდალი, შეიცვალა გლეხი, მათ შორის სხვა გვარი დამოკიდებულება დამყარდა — ერთი სიტყვით ევროპიული ცხოვრების უმთავრესმა დამახასიათებელმა მოვლენამ — სოციალურმა კლასებმა ჩვენშიც იჩინეს თავი; ეს გარემოება იმისი უტყუარი ნიშანი იყო, რომ ჩვენ ევროპიელდებოდით. გაევროპიელება წინ მსვლელობის, ქონებრივათ და გონებრივათ წარმატების მომასწავებელია და არა დაქვეითების. არისტოკრატიის ინტერესების მოტრფიალეთა ერთი ნაწილი ჩვენი ცხოვრების ასეთ საზიზარულო ცვლილებას ვერ ამჩნევდა და პატრიოტული ლექსებით ბერავდა თავის თავმოყვარეობას; მეორე ნაწილი თუმცა ამჩნევდა რაღაც ცვლილებას ცხოვრებაში, მაგრამ იმდენი გამჭრიახობა არა ჰქონდა, რომ ამ ცვლილებაში ჩვენი წინმსვლელობის უტყუარი ნიშნები გაერჩია; მას თავადობის მეტი არა აგონდებოდარა, ხედავდა რომ თავადობა ნელ-ნელა ჰკარგავდა ცხოვრებაში მნიშვნელობას, ისპობოდა და ამიტომ, რაც უფრო აშკარავდებოდა ეს ცვლილება, მით უფრო უმატებდა ოხვრა-კვნესას: გველუპება მამულიო, და წარსული დიდების გალობას, თითქოს მამული მარტო არისტოკრატია და მისი მიწა-წყალი ყოფილიყოს. გიორგი წერეთელმა ადრე შეამჩნია ჩვენი ცხოვრების წინმსვლელობა და ცვლილება; რადგანაც მისი იდეალი ევროპაში იყო და არა ძველ პატრიარქალურ-ფეოდალურ ცხოვრებაში, სხვებსავით ოხვრის მაგიერ დახატა ახალი ცხოვრება, ახლათ განსახოვნებული კლასების „პირველი ნაბიჯი“ და ამით დაანახვა საზოგადოებას, საით მიდიოდა ჩვენი ეროვნული განვითარება და რა დაბრკოლებანი ელობებოდა მას წინ. მისი რომანი „პირველი ნაბიჯი“ გარკვევით და ნათლათ უმტკიცებს მკითხველს ახალი ხანის დაწყებას ჩვენ ცხოვრებაში. სამწუხაროთ

ახალი ხანა ჩვენი ცხოვრებისა დღესაც ცოტას ესმის ჩვენში; უმეტესობა არ ცდილობს, შეიგნობს, რას მოასწავებს ის. „პირველი ნაბიჯი“-ს გამოსვლის დროს ხომ რომანის დედააზრი, მისი მნიშვნელობა მხოლოთ თითო ოროლა პირმა გაიგო და დააფასა. ერთი კრიტიკოსი იმასაც კი იძახდა: ასეთი სახელი მიტომ დაარქვა წერეთელმა თავის რომანს, რომ პირველათ გამოვიდა სალიტერატურო ასპარეზზედო. უნდა აღვიაროთ, რომ გიორგი წერეთლის მიმდევარმა, ნინოშვილმა, უკეთ დაგვანახვა თავის ნაწერებში ეს ახალი ხანა, მაგრამ ამის მიზეზი ერთი მხრით ისიც არის, რომ „პირველი ნაბიჯი“-ს წერის დროს ეს ხანა არ იყო იმდენათ გარკვეული სახის, რამდენათაც ოთხმოცდაათ წლებში, როცა ნინოშვილი გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე. რაც უნდა იყოს, ამ ახალ ხანაზე პირველათ ჩვენ ბელლეტრისტებში გიორგი წერეთელმა მიგვითითა. გიორგი წერეთლის ნაწერებში საუცხოვოთ არის დახასიათებული ჩვენი ყველა წოდების წარმომადგენლები, ჩვენი მჩატე ინტელიგენცია, რომელიც თავის საკუთარ კუჭს უფრო ემსახურება ვიდრე საზოგადო საქმეს; ის გვიჩვენებს, როგორ წარმოებდა ჩვენში აღზრდა, განათლება და რა ზარალი ან სარგებლობა მოჰქონდათ მას, ეხება ხალხის ზნე-ჩვეულებას, ცრუმორწმუნეობას და ამით მისი ნაწერები სხვებთან ერთათ შვენიერ წყაროს შეადგენენ ჩვენი ცხოვრების შესასწავლათ მესამოცე წლებიდან მოკიდებული. ამ მხრივ განსაკუთრებით შესანიშნავია მისი რომანი „პირიმზე“, რომელიც კვალში იბეჭდებოდა გასულს წელს; ამ რომანის ბეჭდვა კვალში შეწყდა რედაქციისაგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო. „ჩვენი დროის ყვავილი“, „კიკოლიკი ჩიკოლიკი და კუდაბზიკა“, „პირველი ნაბიჯი“, „პირიმზე“, „ლომკაცი“, „მამიდა ასმათი“, „რუხი მგელი“, „არანკა“, ,,ედიშერ ქველბაქიანი‘‘, —აი გიორგი წერეთლის უმთავრესი ბელლეტრისტული ნაწერები; რაც შეეხება წვრილ მოთხრობებს, ისინი ხომ გაცილებით მეტი არიან. გიორგი წერეთელს მარტო ბელლეტრისტიკაში არ დაუჩნევია ღრმა კვალი, მან დიდი სამსახური გაუწია ჩვენ თეატრსაც. იმ დროს, როდესაც ჩვენი თეატრი მხოლოთ ლათაიებით ამხიარულებდა საზოგადოებას და წარსული გმირების ვაჟკაცობის მეტს არას უხატავდა, გიორგი წერეთელმა თანამედროვე ცხოვრება დაანახვა სცენიდან საზოგადოებას, მიუთითა სხვა და სხვა ნაკლულევანებაზე და ამით საზოგადოების აღზრდაში თავისი წვლილი შეიტანა. მისი პიესებია „ჯიბრი“, „ოჯახის ასული“ და „დარია“.

ამით ვათავებთ ამ დაუვიწყარი მოღვაწის ბელლეტრისტული ნიჭის მოკლეთ დახასიათებას. დღეს ვუსურვებთ ჩვენს ცხოვრებას, რომ ასეთი ნიჭიერი და თავდადებული მოღვაწე აწი უფრო ბევრი წარმოეშობოს მხოლოთ. მაშინ თუ შეგვეძლება სხვა კულტურულ ერთაშორის ჩვენც დავასახელოთ ჩვენი თავი.

მშვიდობით, პატიოსანო მუშაკო და მამულის სასიქადულო შვილო, საყვარელო გიორგი!

ივ. გომართელი.

გიორგი წერეთელი

როგორც ისტორიკი და არქეოლოგი

დაწვრილებით განხილვა და დაფასება გ. წერეთლის საზოგადოებრივი, ლიტერატურული და სამეცნიერო მოღვაწეობისა ახლა, სანამ მისი გაციებული გვამი ჯერ მიწას არ მიბარებია, უდროოთ მიმაჩნია. მაგრამ ასე მოკლე ხანში ეს შეუძლებელიც არის. გ. წერეთლის მოღვაწეობა ეკუთვნის სხვა და სხვა ისტორიულ ხანას, იგი შეიცავს თითქმის ორმოც წელიწადს, რომლის განმავლობაში ის დაუღალავათ და მედგრათ ვიდოდა ერთხელ არჩეულ გზაზე, არაოდეს არ შემდრკარა, თავის დანიშნულებისათვის არ უღალატია და სასოწარკვეთილებას არ მისცემია. მესამოცე წლების შემდეგ ჩვენში არ ყოფილა ისეთი ლიტერატურული გამოცემა, რომელშიაც გ. წერეთლის მონაწილეობა არ მიეღოს და თითქმის არ არის ისეთი დარგი ლიტერატურისა, რომლისთვისაც მას არ ეშრომოს. გ. წერეთლის სახელი შეკავშირებულია თანამედროვე ქართული მწერლობის დასაწყისთან. მისი მოღვაწეობის პირველი ხანა ისეთი დრო იყო, როცა მწერალს არ შეეძლო განსაკუთრებით ეშრომნა ლიტერატურის ერთ რომელსამე დარგში; ეს ისეთი დრო იყო, როცა მწერალი ერთ და იმავე დროს პუბლიცისტიც უნდა ყოფილიყო და ბელლეტრისტიც, ისტორიკოსიც, არქეოლოგიც, ბუნების-მეტყველიც და სოციოლოგიც. უამისოთ იგი ვერც საზოგადოების ყურადღებას მიიქცევდა და ვერც იხეირებდა. ამიტომ ლიტერატურული მოღვაწეობა მაშინ უფრო დიდ ნიჭს თხოულობდა. დღეს ეს ასე აღარ არის.

გ. წერეთელმა, როგორც შესანიშნავი ნიჭის პატრონმა, ჩქარა შენიშნა ეს, ჩქარა მიხვდა რაშიაც იყო საქმე. მისი ერთათ ერთი მიზანი იყო, რომ ხალხს გაეცნა, შეეგნო თავისი თავი. „ვგონებ ერთი ერიც აღარ იყოს დღეს ისეთი,—ამბობს იგი ერთ თავის საინტერესო გამოკვლევაში [1])—რომ განათლებაში ფეხი შედგას

[1]) ,,გვართა ბრძოლა საქართველოში‘‘ ,,კრებული‘‘ 1873 წ. № 2. წინა სიტ.

და იმდენათ თავისი მამულის უმეცარი იყოს, როგორც ჩვენ“. ამ მიზანს ემსახურებოდა გ. წერეთელი მთელ თავის სიცოცხლეში. ამის სამსახურში ხედავდა იგი თავისი ლიტერატურული მოღვაწეობის დანიშნულებას. საზოგადოებრივი ცხოვრების შესწავლამ და დაკვირვებამ ახალგაზდა ნიჭიერი მწერალი ჩქარა დაარწმუნა, რომ ერთგვარი ლიტერატურული ფორმის საშუალებით ხალხის გულამდის იგი ვერ მიწვდებოდა. ამიტომ რაც არ ხერხდებოდა პუბლიცისტიკის საშუალებით, ის მოსახერხებელი ხდებოდა ბელლეტრისტიული ფორმით, ისტორიული ან საბუნებისმეტყველო გამოკვლევით. მართალია ამ გარემოებამ შეასუსტა ნიჭის სიძლიერე ცალ-ცალკე თითოეულ ლიტერატურულ დარგში, მაგრამ სამაგიეროთ მას მისცა უფრო ფართო სარბიელი, გახადა ის მრავალფეროვანათ და უფრო სასარგებლოთ.

ამ შენიშვნაში ჩვენ გვსურს გავაცნოთ მკითხველს გ. წერეთელი, როგორც ისტორიკოსი და არქეოლოგი, მართალია ისტორია და არქეოლოგია მისთვის არ შეადგენდენ სპეციალურ საგნებს, როგორც მაგ. დ. ბაქრაძისთვის, მაგრამ ყოველ შემთხვევაში ეს ორივე საგანი მისთვის საყვარელი იყო. გ. წერეთლის ისტორიული ნაწერები ორ გვარია: ერთ ნაწილს წმინდა ისტორიული ხასიათი აქვს, მეორეში ჭარბობს ეთნოგრაფიული და გეოგრაფიული ელემენტები. პირველი რიგის ნაწერებში უფრო საყურადღებოა შემდეგნი: ,,საქართველოს პოლიტიკური ცხოვრება ძველ დროში‘‘ (,,კრებული‘‘ 1871 წ. № 1), ,,საქართველოს ისტორიის სურათები‘‘ (,,კრებ‘‘. 1872 წ. №№ 6, 8 და 9); შემდეგ ისტორიული მონოგრაფიები ,,კვალში‘‘: ბაგრატ დიდი, გიორგი VIII, მეფე ალექსანდრე იმერეთისა, მეფე გიორგი ლაშა, მეფე ერეკლე II, მეფე არჩილი, მეფე იმერეთისა სოლომონ დიდი და მრავალი სხვა. ამავე რიგის ნაწერებს ეკუთვნიან „ბაგრატ III იმერეთისა, თუ ბაგრატ V დიდი?“ და „საისტორიო ბაასი“. მეორე რიგის ნაწერებში ფრიად საყურადღებოა „გვართა ბრძოლა საქართველოში VI — X საუკ.“, [1]) რომელშიაც აწერილია დაწვრილებით საქართველოს ბუნება, მისი მიწა-წყალი, ნიადაგის თვისება, ხალხი და მისი ხასიათი, შესანიშნავი ქალაქები, წარმოების უმთავრესი საგნები და სხვ. ასეთივე გეგმით ავტორს აწერილი აქვს თურქესტანი[2]). ყოველივე ეს ცოცხლათ და გარკვევით არიან შედგენილი; ფაქტებს იქ უპირველესი ადგილი უჭირავთ; ავტორი თავის მოსაზრების გასამართლებლათ მუდამ საბუთს ეძებს, — ერთი სიტყვით მისი მსჯელობა დასაბუთებულია. მას ეჯავრება მრავალ-სიტყვაობა, მაგრამ პატარა მონოგრაფიაში იგი ნათლათ გვიხატავს მთელი ეპოქის სურათს. ისტორიულ კვლევა-ძიებაში გ. წერეთელი თავიდანვე ევოლიუციონურ შეხედულებას ადგა. მისი აზრით თანამედროვე ველურ და ბარბაროსულ ხალხთა წეს-წყობილების შესწავლა გაგვიადვილებს განათლებულ ერთა ისტორიის შესწავლას. „და ვუკვირდეთ ზოგიერთ მთიულ ერს — სწერდა იგი 1871 წ., — რომელსაც თავისი განკერძოებული და შეუვალი ქვეყნის წყალობით აქამდის თითქმის უცვლელათ შეუნახავს ძველებური თავისი დაწყობილება‘‘ [3]), და ეს იმიტომ რომ გავიგოთ ჩვენი წარსული და დღევანდელი ცხოვრებაო.

ისტორიული წერილების და მონოგრაფიების წერამ გ. წერეთელი იმ დასკვნამდის მიიყვანა, რომ საქართველოს ისტორიის წყაროები არათუ გამორკვეული და მკვიდრ ნიადაგზე დაყენებული არ არის, არამედ მათი უმრავლესი ნაწილი ჯერ სრულებით ცნობაში არ არის მოყვანილი და რაც ხანი გადის თანდათან იკარგება. ყოველივე სასარგებლო საქმის გულშემატკივარი, გ. წერეთელი, შეუდგა თვით მასალის მოგროვებას და აღბეჭდვას, მან საუცხოვოთ შეისწავლა არქეოლოგიური კვლევის წესები, ძველი წარწერების და პერგამენტების გამინჯვა და დაფასება, და 1891 წლიდან იგი ითვლებოდა მოსკოვის საიმპერატორო არქეოლოგიური საზოგადოების წევრათ. გ. წერეთლის არქეოლოგიურ ნაწერებში, გარდა ცალკე მონასტრების აწერისა, საინტერესოა ორი მისი შრომა, დაბეჭდილი მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების გამოცემაში: Полное собр. надписей Гелатскаго монастыря და Археологическая экскурсія по Квирильскому ущелнью. პირველი შრომის შესახებ მოგვყავს აქ ა. ხახანაშვილის აზრი: „გ. წერეთლის მიზანი იყო შეემოწმებია ადგილობრივ უკვე გამოქვეყნებული წარწერები გელათის მონასტრისა Voyage archéologique-ში და სამეცნიერო აკადემიის „Записки“ში, და აგრეთვე გადმოეღო და გაერჩია ახალი წარწერები, თუ ასეთები აღმოჩნდებოდენ. ორივე დანიშნულება მან შვენივრათ შეასრულა. მან გაასწორა ის შეცდომები, რომლებიც აკადემიკ ბროსსეს შეჰპაროდა და გაარჩია ისინი, რომლებიც ამ უკანასკნელს ვერ ამოეკითხა. მაგრამ გ. წერეთელი გვაძლევს კიდევ მთელ კოლექციას ძლიერ საინტერესო ეპიგრაფიკული ფაქტებისას“. ეს სიტყვები საკმარისათ ახასიათებენ ამ შრომას. რაც შეეხება მეორე შრომას „მოგზაურობა ყვირილის ხეობაში“, იმასაც ასეთივე მნიშვნელობა აქვს. სხვათა შორის ავტორის აზრით ყვირილის ხეობაზე გაივლიდა ის გზა, რომლითაც წარმოებდა აღებ-მიცემობა ინდოეთსა და შავ ზღვას შორის; სტრაბონის ფაზისი ძლიერ წააგავს ყვირილას. აქ დღემდის მოჩანს ძველი ხიდების ნაშთები.

---

1) „კრებული“ 1873 წ. №№ 2,5,6. სამწუხაროთ, ეს შრომა სრულიად დაუმთავრებელია: თვით გვართა ბრძოლაზე იმაში ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი.

2) იხ. გაზ. „დროება“ 1867 წ. №№ 31 და 32. სტ. „საშუალო აზიაში მოგზაურობა“. თვით ავტორი უწოდებს ამ წერილს საინტერესოთ ერთ თავის შენიშვნაში.

4) ,,კრებული‘‘ № 4, სტ. ,,საქარ პოლ. ცხოვრება“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ. წერეთელს აქვს აგრეთვე დინგვისტიური ნაწერები: ერთ „კრებულში“ (1872 წ. № 6) „ფილოლოგიური განხილვა ქართული ენისა“ და მეორე „კვალში“ (1893 წ.) „ისტორიულ-ფილოლოგიური გამოკვლევა“. პირველი შრომა ნამდვილი გამოკვლევაა. პირველ ნაწილში ავტორი განმარტავს თანამედროვე დინგვისტიკის დედა-აზრს ენის განვითარების შესახებ თანახმათ მაქს მიულერისა. მეორე ნაწილი ჩვენთვის უფრო საინტერესოც არის და დამოუკიდებელიც; ქართული ენის და მისი ანბანის შესასწავლათ ის საუკეთესო წყაროთ უნდა ჩაითვალოს. მკითხველის ყურადღებას მივქცევ აქ ავტორის ორ მოსაზრებაზე. პირველი შეეხება ეროვნული ენის ურთიერთობას დიალექტებთან. ავტორი ამბობს: „ახალი ენა) იგულისხმე თანამედროვე ქართული ლიტერატურული ენა) არასოდეს არ უნდა დავაცილოთ ჩვენს სათემო ენების კილოებს ანუ დიალექტებს, თუ რომ გვინდა მუდამ ცოცხალი — ლიტერატურული ენა გვქონდეს, და ისე არ მოკვდეს, როგორც ძველი ლიტერატურული ენა (ი. ი. საეკლესიო ენა) მოკვდა:“ მეორე მისი მოსაზრება შეეხება ხუცური და მხედრული ანბანის ურთიერთ შორის დამოკიდებულებას. დ. ბაქრაძის პალეოგრაფიული გამოკვლევით ჩვენ ვიცით დღეს, რომ მხედრული თანდათან განვითარდა ხუცურისაგან, მაგრამ ეს აზრი გარკვევით პირველათ გ. წერეთელმა წარმოსქვა კიდევ 1872 წელს. ოფველივე ეს აშკარათ ამტკიცებს გ. წერეთლის საფუძვლიან ცოდნას, დრმა დაკვირვებას და ორიგინალობას.

ადგილი აქ ნებას არ გვაძლევს გ. წერეთლის ეველა ისტორიული თუ არქეოლოგიური ხასიათის ნაწერები მოვიხსენოთ. ვიტყვით მხოლოთ, რომ ასეთები მრავალია. მოვიხსენიოთ აქ მხოლოთ მისი წერილი გაზ. „Кавказъ“-ში (1892 წ.): „Миѳы Кавказа на грузинской почвѣ“, რომელშიაც სხვათა შორის განმარტებულია თანამედროვე შეხედულება მითოლოგიაზე, და მისი წმინდა საბუნებისმეტყველო შრომა „საუკეთესო ცოდნა“, რომელიც ორჯერ დაიბეჭდა და რომელშიაც მდაბიური და გასაგები ენით აწერილია ქიმიური და ფიზიკური მოვლენანი.

სანამ გ. წერეთლის ნაწერები, რომელნიც დღეს სხვა და სხვა ჟურნალ-გაზეთებში და ცალკე გამოცემაში გაფანტულია, არ შეიკრიბება და ერთათ არ გამოიცემება, მისი ვრცელი ბიოგრაფიის ჩართვით, ჩვენ არ შეგვეძლება სრული წარმოდგენა ვიქონიოთ იმაზე, თუ ვინ იყო გ. წერეთელი და რა დვაწლი მიუძღვის მას ქართველი საზოგადოების და ხალხის წინაშე. დღეს, როცა მის გვამს მიწას ვაბარებთ და სამუდამოთ ვეთხოვებით, ვიტყვით, რომ ქართველმა ხალხმა გ. წერეთელში დაჰკარგა არა მარტო ნიჭიერი და გამოჩენილი მწერალი და მეცნიერი, არამედ საუკეთესო თანამედროვე დარბაისელი ქართველი კაცი, ე. ი. ერთი საუკეთესო მოქალაქეთაგანი. საუკუნოთ დაუვიწყარი იქნება მისი ხსენება ქართველ ხალხში.

ფ. მახარაძე.

გიორგი წერეთლის ნაწერების სია.[1])

„დროება“ 1866 წლისა

1) მათუსალას აღსარება, №№ 1, 2.
2) დედა-კაცის აზრი დედა-კაცზე. № 5
3) საკვირველი მოვლენა № 7.
4) ქართული თეატრი
კომედია: ცოლის შერთვეინება და ძალათ ექიმი. №№ 11, 13,
5) ახალგაზდა დედებს და ყმაწვილ ქალებს № 25; 31, 32, 33, 40, 41.
6) პარიკი ამერიკაში (თარგმანი) №№ 21, 22, 25, 27, 29, 30.
7) ბუნების მეცნიერებიდან, № 24.
8) სახელმწიფო და აღზრდა № 26.
9) ბუნების მეცნიერება და იმის ღვაწლი ხალხის განათლებისათვის № 38
10) მონა დასის ნაამბობი. 42
11) ქუთაისიდან (საკრიტიკო) №№ 44, 36, 32.

დროება 1867 წ.

12) ძველი წლის ნაყოფი და ახალ წლის კოკრები №№ 1, 2.
13) მზის დაბნელება № 6, ბუნების მეცნიერებიდან: გველი № 4.
14) მგზავრას წიგნები, ეს თხზულება პირველი და მეორე ნაწილი კრებულში მოძებნეთ, იქ უფრო სრულად არის.
15) ფლიდეთელ მოხუცის ნაამბობი № 19
16) პოლიტიკური უფლება დედა-კაცისა № 19, 20, 44 (ენერგ. და ცხოვრება), 45
17) თვით მოქმედება (სმაილსი, გადაკეთებული) № 21, 22
18) რამდენიმე აზრი ჩვენს ცხოვრებაზე № 25.
29) ქუთაისიდგან № 29. სტატია და არა კორრესპონდენცია.
30) საშუალო აზიაში მოგზაურობა. 2 № 31, 32
31) ზოგიერთი ამბავი დავით ბეიბედოვის ცხოვრებიდან № 49.

დროება 1868 წლისა

32) ორიოდე სიტყვა კომედიაზე ვაი ჭკვისაგან და რუსულს თეატრზე № 1.

---

[1]) ეს სია (1880 წლამდი) შეუდგენია თვითონ გ. წერეთელს და ვნახეთ მის ქაღალდებში. 1880 წ. შემდეგ კი ჩვენი შედგენილია.

[2]) აქ თვითონ გ. წერეთლის მიერ მიწერილია „ეს შესანიშნავი სტატიაა“. რედ,

33) კახეთში არეულობა (ნაამბობი დ. ბებენაბვილისა რუსულიდან) № 2.

34) ბუნების გავლენა კაცზე № 4.

35) ჩვენი ცხოვრების ქრონიკა. № 6

36) უცხო ქვეყნის ამბები № 9.

37) გარდნერის პროცესი (თარგმანი) № 11, 12, 14

38) კლოდ გო № 15, 16, 77 ფრანციულით.

40) უჩინმაჩინის ქუდოსანი და იმის საუბარი მკითხველთან № 19, 20

41) უცხო ქვეყნის ამბები. № 22.

42) ოსმალეთის ქვეშევრდომი საქრისტიანო ქვეყნების ამბავი № 23, 27

43) ბენუას საქმის წარმოება. № 24, 25, 26

44) ტანსაცმლის უზომოთ ხმარება № 27.

45) ვლადისლავ მიცკევიჩი და მისი მოქმედება პარიჟში. № 30

46) მირგემ იუნგლის ქადაგება, № 30

47) რამდენიმე სიტყვა მდაბიო ხალხის აღზრდაზე და განათლებაზე № 32

48) ამ დროის ფრანციის მწერალნი და იმათი თხზულებანი № 34, 35

49) ერთი თვალის გადავლება № 36, 37

50) თამბაქოს მოქმედება კაცის სხეულზე (შემდეგი იქნება) № 37

51) იმისი სიძვირე და მოქმედება კარგამყოფობაზე (შემდეგი) № 38

52) რამდენიმე სურათი მოთხრობიდან „გვრიტია“ № 41 42, 43 45

53) საპოლიტიკო და საზოგადო მდგომარეობა სერბიისა № 43

54) საპრელი მამკალი ქალი № 46

55) ბუნების კრიტიკა № 48

56) კაცის ხელით მომხდარი ცვლილება ბუნებაში № 48

57) სასამართლო და პოლიცია № 49, 51

დროება 1869 წელს.

58) უცხო მხარე=ლექსი № 16

59) მიმოვლა რუსეთისაკენ № 42, პეტერბურღიდან ნიჟნამდი, № 43, ვოლგაზე № 47, ვოლგაზე და დონზე № 49

60] ორიოდე სიტყვა ბერლინის ცხოველ წალკოტზე №44.

დროება 1870 წელს.

61) ქართველების სტუმრობა № 24.

62) გორას მაწონი № 10, 11.

63) ერთი თვალის გადავლება კაცის ისტორიულ ცხოვრებაზედ— № 17, 22.

დროება 1871 წელს.

64) კუხელის სიმღერა. № 21.

65) ორიოდე ეკალი ჩვენს ახალგაზდა მწერლობაში № 24.

66) საჭიროა კავკასიაში უნივერსიტეტი თუარა № 26.

67) ფუტკრის აღსარება № 29.

68) ფუტკარმა უთხრა კრაზანას № 33.

69) რა უნდა გამოეტანა მსმენელს უფ. ი. თარხნიშვილის ლექციებიდან—№ 45.

დროება 1873 წელს.

70) ლიტერატურული გამოლაპარაკება. № 1.

71) ვნახე და მეწყინა— № 8.

72) იმერეთის სურათები № 25.

73) ზემოთის სამართალი № 42, 40.

74) ერთი თვალის გადავლება № 39.

75) ერთი უგმილი № 36.

76) შიკრიკი № 399., შეცვლილან № 46 მაგიერათ 399 არის.

დროება 1879 წელს.

77) აღმოსავლეთის პოლიტიკის აზრი № 6.

78) სოსიკო ორბელიანის სიკვდილის გამო № 10.

79) ჩვენდა ჩვენი „დროება“ № 13, 14, 15, 16.

80) არეულობის მიზეზი აჭარა—ლივანაში № 24.

81) გადასახლება № 27, 34.

82) მიეშველეთ ქობლეთლებს № 32.

83) უფ. ვერესჩაგინას აზრი ჯიქეთ აბხაზეთის დასახლებაზედ № 36, ჯიქეთ აბხაზეთის დასახლება № 47.

84) უცნაური ნიშნები, № 38.

85) საწყალი შირ-ალი ავღანის ემირი, № 41.

86) ბოლგარია (განთავისუფლებული ერი) № 42.

87) ევროპის პოლიტიკური მდგომარეობა № 45.

88) კიდევ ერთი მსხვერპლი № 48.

89) ბესარიონ ღოღაბერიძის სიკვდილზედ № 51.

90) კავკასია—ავღანი № 70, 71, 72, 74, 75.

91) ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკი № 80.

92) ქუთაისის ბანკის ისტორია, № 82.

93) ქუთაისის ბანკზე პოლემიკა № 84, 85.

94) პასუხი ქუთაისის საქალებო ღიმნაზიის ქალებს. № 98.

95) ჩვენება № 101.

96) პასუხი თ. ნ. დადიანს № 102.

97) თ. ნ. დადიანს—№ 103, 105, 106.

დროება 1880 წელს.

98) მირიან მეფე და წმინდა ნინო № 17, 19.

კრებული 1871 წლისა.

99) დოქტორ კრუპოვის თხუზულებიდან (გერცენისა) № 1. გ. წერეთელი.

100) ჯიბრი, კომედია—№ 2

101) საქართველოს პოლიტიკური ცხოვრება ძველის ძველ აღ — 4.

102) რა გვეპირება (უნივერსიტეტზედ) № 5.

კრებული 1872 წლისა.

103) საქართველოს ისტორიის სურათები — № 7

104) ფილოლოგიური განხილვა ქართული ენისა № 7.

105) ჩვენი ცხოვრების ყვავილი — № 8.

106) საქართველოს ისტორიული სურათები — № 8.

107) საამხანაგო ბანკი, იმათი მნიშვნელობა და დაწყობილება № № 8, 9.

108) ბიბლიოგრაფიული შენიშვნები № № 8, 9.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲙᲠᲔᲑᲣᲚᲘ 1873 ᲬᲚᲘᲡᲐ.

109) ჩვენი ცხოვრების ყვავილი № № 10, 11, 12.
111) ამ დროის ვითარება № № 10, 11, 12.
112) ჩვენი ცხოვრების ყვავილი № 1.
113) ჩვენი ცხოვრების ყვავილი № 2.
114) გვართა ბრძოლა საქაროველოში — № 2,
115) ამ დროის მოძრაობა — № 3.

ᲙᲠᲔᲑᲣᲚᲘ 1873 ᲬᲚᲘᲡᲐ.

116) ეგმონტ გეტე ნემეცურიდან ნათარგმნი №№ 5,6.
117) გვართა ბრძოლა № № 5,6
118) მგზავრის წიგნები I-ლი ნაწილი № № 5,6.
119) მგზავრის წიგნები ნაწილი II-რე №№ 5,6.
120) „ნობათი“ 1883—1884 წ.წ. ლომ-კაცი, ზღაპარი ლექსათ.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ „ᲘᲕᲔᲠᲘᲐ“ 1886 ᲬᲔᲚᲡ.

121) „ოცი წლის წინად (ძველი მამასახლისის ნაამბობი). საჩინო (დალალ აზნაური) მოთხრობა.

„ᲘᲕᲔᲠᲘᲐ“ 1887 წ.

122) ედიშერ ქელბაქიანი (მოთხრობა) № 93—100. ნაწილი პირველი.

„ᲘᲕᲔᲠᲘᲐ“ 1888 წ.

123) „მამიდა ასმათი“ იწყობა 101 ნომრიდან თავ. — 114.

„ᲘᲕᲔᲠᲘᲐ“ 1889 წ.

124) შავი ქვის წარმოება დასავლეთ საქართველოში. № 22. დრამატიული წერილი. № 36.

„ᲪᲓᲐ“ 1890 წ.

125) პირველი ნაბიჯი“ რომანი.

„ᲯᲔᲯᲘᲚᲘ“ 1890 წ.

126) გელათის მონასტერი № 5.
127) გელათის მონასტერი № 6.
128) ღვთის წყალობა — № 3, 4, 5. 91 წ.
129) ჩვენი ძველი გმირები № 6.
№ 1 — 92 წ.
№ 2 — 92 წ.
№ 3 — 92 წ.
№ 5 — —
№ 6 — —
136) შობა ქრისტესი № — 95 წ.

„ᲙᲕᲐᲚᲘ“ 93 წ

მიმოხილვა.
ბაგრატ დიდი.
ორმოცდა სამი წელი ქართული ისტორიისა.
მთიულნი.
საჩხერის ციხე,
ფერდინანდ ლესეპსი.
ბერიკობა.
ყეენობა.
ბათუმის მახე.
ვარძია.—
გიორგი მერვე.
დარიალი.
ქართველთა და სომეხთა ურთიერთობა ოც და ხუთი წლის დღესასწაული.
იტალიის მეფის ჰუმბურტოს და დედოფლის მარგარიტას ქორწინება.
ბედის ტაძარი.
მარიამ დედოფალი და შვილი მისი ოტია.
მეფე ალექსანდრე იმერეთისა და მეუღლე მისი ნესტან დარეჯანი.
მეფე გიორგი ლაშა.
მეფე ერეკლე მეორე.
ბაგრატ III იმერეთის, თუ ბაგრატ მეხუთე დიდი.
ფრიდრიხ დიდი.
წლევანდელი ხოლერობა.
მკრტიჩ ხრიმიანი, ქათალიკოსი სრულიად სომხეთისა.
ისტორიულ-ფილოლოგიური გამოკვლევა.
სწავლის საქმე ჩვენში.
კითხვები პასუხით.
სამეურნეო ნდობა.
პ. იზმაილოვი.
წმ. მოწამენი დავით და კონსტანტინე.
წმ. მოწამე გობრონი.
მიცკევიჩი და პადერევსკი.
წმ. მოწ. აბო.
ბარბარე ავალოვისა, ხერხეულიძის ასული.
მორიც მაკმაჰონი.
წმინდა სახლობა.

1894 წ.

რიდე აიხადეთ.
ჰეშმარიტების აღდგენა.
წმ. შუშანიკი. დედოფალი რანისა.
წმ. ესტატე მცხეთელი.
საისტორიო ბაასი.
ჰორი და ცილის წამება.
ფარისეველის და მეზვერეს იგავი.
საკვირველი განუპვრეტელობა.
სახელმწიფო ქონებათა და სამეურნეო საქმეთა მინისტრის მობრძანება კავკასიაში.
ქუთაისის ქალაქის თავის არჩევა.
სადი კარნო და კაზიმირ პურიე.
პასუხი ქრონიკების პატრონს ბ. ეორდანიას
სომეხთა სასკოლო მზრუნველობის ამორჩევა.
მოზაიკა, ფერადი ქვის ანუ მინანქრის ხელობა.
ქართული დრამატიული საზოგადოების სვე-ბედი.
როგორ აშენდა გელათი.
ვინ ააშენა გელათი.
წმ. მეფე არჩილი.
ითიოპია.
,,ხაფანგი'', დრამა ოთ-მოქმედ. მეველისა (კრიტიკა).
ჯონ ტინდალი.
გამოთხოვება რებეკასი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძლევა-მოსილი მეცნიერება და მუხთალი ძალ-მომრეობა.
ამინ, ალილუა!

1895

„კვალის“ ორი წლის ნაღვაწი.
როგორი ძეგლი სჯობია ირაკლის მოსახსენებლათ.
ჩინეთ-იაპონიის ომი.
მეორე ხანა ირაკლი მეფის ცხოვრებისა.
ბოდბეს მონასტრები.
თამარშენის საყინულე
მღვიმის მონასტრის სამლოცველო.
კაცხის სვეტი.
წმინდა ნინო.
ოცდა-ხუთის წლის დღესასწაულობა პროფესსორის თ. ი. თარხნისშვილის სამეცნიერო მოღვაწეობისა.
ლიხუჩანგი, ჩინეთის დესპანი იაპონიასთან შემრიგებელი.
ავსტრიის იმპერიის კანცლერი.
პატრი დონ-დიმიტრი თუმანიშვილი.
პავლე ალექსანდრეს ძე იზმაილოვის სიკვდილის გამო.
თ. ივანე კონსტ. ბაგრატიონ მუხრან-ბატონი.
მიხეილ ხელთუფლიშვილის ნეკროლგოი
კარლ ფოხტი.
ლუი პასტერი.
იაპონელი და ქართველი ქალების შედარება.
ხალხური ლექსები ს. ქედაში ჩაწერილი 1880 წ.
ორმოცდა-ათი წლის მიცვალების პანაშვიდი ნ. ბარათაშვილისა.
კავკასიის სამეურნეო საზოგადოება.
სამეურნეო და საადგილ-მიცემო ამხანაგობანი—სინდიკატები.
წერა-კითხვის საზოგადოების წევრთა არჩევა.
თფილისის ურთიერთ ნდობის სამეურნეო საზოგადოების წესდება.

1896

რა არის პოლიტიკა?
მიეშველეთ ნოვოროსიელ ქართველებს
გაკვრით.
გველის მომთვინიერებელი.
ეულ სიმონი.
ზეპირ გადმოცემანი იმერეთში შეკრებილი.
სპარსეთის შაჰი ნასრ-ედინი
შავი ქვის მრეწველთა კრება ქუთაისში.
წარსული წლის ნაყოფი.

1897

საშობაო მოთხრობა.
ბეთი მცნება.
კავკასიის რკინის-გზის უწესრიგობა.
უნივერსტეტი თუ პოლიტეხნიკუმი.
კავკასიის ქვა-გუნდის მწარმოებელთა წესდების შედგენა და მისი განხილვა.
ცუდი ნიშნები მომავლისა.
ღვდლის მოკვლა ზემო იმერეთში.
ჩვენი დროის ოსმალეთი.
ბ. ველიჩკო და მისი აზრები ეროობის შემოღებაზე.
ქალაქის არჩევანები.
ჩეხელები და მათი ისტორია.
ცხოვრება და სამართალი.
მაკიაველიზმი.
საით მივისწრაფით?
საბერძნეთი და მისი პოლიტიკა.
სენატორი კონი და მისი აზრი კავკასიის ხალხების შესახებ.
დიდი საქმე.
უგანათლებულესი თავადი ალექსანდრე იმერითინსკი.
თეკლე ბატონიშვილი.
მოხსენება რკინის-გზის გაყვანის შესახებ.
ახალი ხანა ჩვენი ქვეყნის წარმოებისა.
ამ საუკუნის ვითარება.

1898

ომი იაპონიასა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის
სამეცნიერო საუბარი.
პოლიტიკა.
მეცხვარის ნაამბობი (ესკიზი).
თოფის სროლა (ამბავი).
განწირულნი (საშობაო მოთხრობა).
ხალხური პოეზია და ბატონი კელენჯერიძე. კრიტიკული წერილი ფ. მახარაძისა.
ბიბლიოგრაფია (კვართი უფლისა).
ა. ს. ხახანაშვილის ახალი წიგნი.
მეფე ერეკლეს ფონდი.

1899

ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკი და ინტელიგენტთა პარტიები.
როგორი დანიშნულება უნდა მიეცეს იმერეთის თავად-აზნაურობის თავნს.
წარსული წლის პოლიტიკა.
პირიმზე (რომანი).

წიგნებათ

საუკეთესო ცოდნა. 1888 წ.
მამიდა ასმათი. 1888 წ.
რუხი მგელი. 1892 წ.
თხზულებანი I ტომი. 1893 წ.
— II ტომი —
ჩვენი ძველი გმირები.
არანკა. ლომ-კაცი.

ეს სია, რასაკვირველია, სრული არ არის. აქ მოხსენებული არ არის არც «სასოფლო გაზეთი», და არც რუსულ გაზეთებში დაბეჭდილი წერილები. აქ არ არის აგრეთვე მისი არქეოლოგიური გამოკვლევანი და სხვა წვრილმანი ქართული წერილები. ყველა ეს რომ შეგროვდეს ორი ამდენი იქნებოდა.

რედაქტორ.-გამომცემელი ან. თ.-წერეთლისა.

განცხადებანი

1900

წელს

აკაკის

თვიური

„კრებული“

(წელიწადი მესამე)

გამოვა იმავე პროგრამით და იმავე პირობებით, როგორც 1899 წ.; ე. ი. გარდა **საკუთარის** ნაწერებისა დაიბეჭდება **სხვების** ნაწერებიც.

ფასი იგივე დარჩება:

გაგზავნით 7 მან., გაუგზავნელად — 6 მან., ნახევარის წლით — 4 მან. თვიურად და კერძო №-რი 60 კაპ.

ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება: ხელის-მოწერისას 3 მან., პირველ მარტს 2 მან. და პირველ მაისს 2 მან.

რედაქცია იმყოფება დ. ყვირილაში

ადრესი: დ. ყვირილა „კრებულის“ რედაქცია და ტფილისი „წერა-კითხვის საზოგადოება“.

რედაქციაში მოიპოვება სრულად 1899 წლის „კრებული“-ს წიგნები, გაგზავნით 7 მანეთად, ხოლო ახალ ხელის მომწერთ დაეთმობათ 6 მანეთად,

„კრებული“-ს რედაქტორი და გამომც. **აკაკი.**

დაიბეჭდა და ისყიდება 1900 წ.

ქართული კედლის კალენდარი

შედგენილი გრ. ხარკვიანის მიერ

ფასი 40 კ.

გარეშე პირთ ამ ადრესით შეუძლიანთ მოითხოვონ:

Тифлисъ, книжный магазинъ грамотности Дворц. ул. д. дворянства.

საპოლიტიკო სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატებიანი გაზეთი

„კვალი“

გამოვა 1900 წელსაც ყოველ კვირაში ერთხელ ერთიდან სამ თაბახამდე

იმავე პროგრამით როგორც *1899* წელს.

რედაქციისაგან: ახალი წლიდან „კვალს“ მიემატება პროგრამის ყველა განყოფილებები, რისთვისაც შედგა მუდმივ თანამშრომელთა წრე.

გაზეთი წლიურად ღირს გაუგზავნელად 7 მანეთად, ხოლო გაგზავნით 8 მან. ნახევარი წლით გაუგზავნელად 3 მან. 50 კაპ., გაგზავნით 4 მან. სამი თვით გაუგზავნელად 2 მანეთ., გაგზავნით 2 მ. 50 კ. თითო ნომერი სამ შაურად. ხელის მომწერლებს წლის ფული შეუძლიათ ნაწილ-ნაწილად გამოგზავნონ.

ხ[illegible]ის მოწერა მიიღება თფილისში „წერა-კითხვის საზო[illegible]ლარიაში“ (*Дворцовая ул, д. зем.* [illegible] *№ 101)* და თვით „კვალის“ რედაქციაში არტილ[illegible] № 5, კორპუსის ახლო.

ფოსტის ადრესი: *Тифлисъ редакція „КВАЛИ“.*

საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი

„ჯეჯილი“

წელიწადი მეთერთმეტე

გამოვა 1900 წელსაც თვეში ერთხელ იმავე პროგრამით, როგორათაც აქამდის.

ჟურნალი „ჯეჯილი“ მიღებულია თფილისის სასულიერო და კავკასიის ოლქის სამოსწავლო რჩევებისაგან სასწავლებლის სამკითხველოებში საკითხავად.

ჟურნალი „ჯეჯილი“ თფილისში დატარებით ღირს 4 მან. თფილისს გარეშე გაგზავნით 5 მან. ცალკე ნომერი 50 კაპ.

ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ წლით და ნახევარ წლით.

ხელის მოწერა მიიღება:

1) თფილისში — „წერა-კითხვის გამ. საზოგადოების“, კანცელარიაში (Дворцовая ул. д. Груз. Двор. № 101), და თვით „ჯეჯილი“-ს რედაქციაში (Артиллер. ул. № 5, возлѣ Кадетскаго корпуса)

ფოსტის ადრესი: *Въ Тифлисъ въ редакцію грузинскаго дѣтскаго журнала „Джеджили“.*

Доз. ценз. Тиф., 15 Января 1900 г. სტამბა ე. ი. ხელაძისა. Тип. Е. И. Хеладзе, Л.-Мелик. ул., № 28.